

ადამიანის უფლებები რეგიონებში



**HUMAN RIGHTS HOUSE
TBILISI**

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

**Tbilisi
2016**

ადამიანის უფლებები რეგიონებში

მონიტორინგის წლიური ანგარიში



თბილისი
2015

ანგარიშზე მუშაობდნენ:

თემურ რეხვიაშვილი, ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია;

ეკა ქობესაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი;

სოფო ალექსიძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

რედაქტორები:

ნინო ელბაქიძე, კონსტიტუციის 42-ე მუხლი;

ლანა გიორგიძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: +995 322 382018

ელ-ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org



Kingdom of the Netherlands

ეს პუბლიკაცია დაფინანსებულია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ "ადამიანის უფლებები რეგიონებში" პროექტის ფარგლებში. შინაარსზე პასუხისმგებელია თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და შესაძლებელია, შეხედულებები არ ემთხვეოდეს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს შეხედულებებს.


შინაარსი

შესავალი.....	5
რეზიუმე.....	5
სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები.....	6
უმცირესობები.....	6
ა) რელიგიური უმცირესობები.....	7
ბ. ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები.....	9
სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.....	11
სოციალურად დაუცველ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, სათანადო საცხოვრისის უფლება	11
ეკოლოგიური პრობლემები: სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.....	14
იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები.....	18
კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.....	19
ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის პირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.....	21
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების უფლებრივი მდგომარეობა ...	22
რეპატრირებული მესხები: XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.....	25
შრომის და ჯანმრთელობის დაცვის უფლება.....	26
ა. ჯანმრთელობის უფლება.....	26
ბ. შრომის უფლება.....	27
სხვადასხვა.....	29
დასკვნა.....	30
რეკომენდაციები.....	30

შესავალი

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, 2014 წლის 1 აგვისტოდან ახორციელებს პროექტს - „ადამიანის უფლებები რეგიონებში“. პროექტის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა რეგიონებში და უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი.

ორგანიზაციის ამოცანაა, გამოავლინოს უფლებათა დარღვევის ფაქტები, დახმარება გაუწიოს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციების საშუალებით, განახორციელოს მონიტორინგი, მოახდინოს დარღვევის დოკუმენტირება, გაავრცელოს ინფორმაცია, მოამზადოს ფოტო/ვიდეო მასალა და პუბლიკაციები. პროექტის მიზნის მისაღწევად მუშაობს უფლებადამცველების მობილური ჯგუფი, რომელიც შედგება იურისტების, ფსიქოლოგების, ჟურნალისტებისა და მონიტორისგან. ჯგუფის მიერ 2014 წლის 1 აგვისტოდან 2015 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, განხორციელდა 30 სავსე გასვლა.



წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 1 აგვისტომდე პერიოდს. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის ფარგლებში, მხოლოდ მობილური ჯგუფის მიერ განხორციელებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით. შესწავლილია თითოეული სავსე გასვლის შედეგი, გაანალიზებულია თემატური საკითხები, რომლებიც გამოვლინდა ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში.

რეზიუმე

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, რომლის დროსაც გამოიკვეთა როგორც

სამოქალაქო-პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევები. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, არსებული მძიმე სოციალური ფონი, ეკონომიკური მდგომარეობა, არამდგრადი გარემო და სახელმწიფო პოლიტიკა გარკვეულწილად პრობლემებს ქმნის ადამიანის უფლებათა კუთხითაც.

ანგარიშმა გამოავლინა ისეთი დარღვევები, როგორიცაა ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ ჯგუფთა, შშმ პირთა, დევნილთა, თავშესაფრის არმქონე პირთა, რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა უფლებების დარღვევები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანგარიშში სხვა უფლებებთან ერთად ძირითადი აქცენტი მაინც სოციალურ თემატიკაზეა გაკეთებული და მონიტორინგის ის შედეგები რაც განხილულია მასში, ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მძიმე ვითარებაა დღეს უფლებრივი მდგომარეობის კუთხით. მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ქვეყანაში დღემდე პრობლემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა. ხარვეზიანი საკანონმდებლო რეგულაციები საწყის ეტაპზე არღვევს ადამიანის უფლებებს. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურად დაუცველი პირების, დევნილთა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებებზეც. ცალკე უნდა გამოიყოს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, გამოიკვეთა პრაქტიკის ხარვეზები, კონკრეტულ შემთხვევებში კი სახლისუფლებო შტოს წარმომადგენელთა, სამართალდამცავთა უმოქმედობა, რაც ხელს უწყობს პრობლემის დამძიმებას და კიდევ უფრო ამძაფრებს არსებულ სიტუაციას უფლებათა დარღვევის კუთხით. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია გათვალისწინებულ იქნეს პორექტის ის რეკომენდაციები, რაც ანგარიშშია წარმოდგენილი, რიგ შემთხვევაში საუბარია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, დამატებითი რეგულაციების შექმნაზე და ასევე პრექტიკის გაუმჯობესებაზე, სახელმწიფოს პოლიტიკის შეცვლაზე კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრისათვის.

ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე თავი, მისი სტრუქტურა განისაზღვრა უფლებათა დარღვევის ფაქტების კლასიფიკაციით და თვისობრივად მსგავსი დარღვევები გაერთიანებულია, რაც დაეხმარება დაინტერესებულ პირს გაეცნოს მას და მიიღოს ინფორმაცია.

სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები

მონიტორინგის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა სახლმა გამოავლინა სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებათა დარღვევები, რომლებიც ძირითადად რელიგიისა და ეთნიკური მიკუთვნების ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში გამოვლინდა.

უმცირესობები

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მობილური ჯგუფი დაინტერესდა ქვეყანაში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების პრობლემათა შესწავლით. ამ

მიზნით, უფლებადამცველები იმყოფებოდნენ: **ქობულეთის მუნიციპალიტეტში**, სადაც მუსლიმთა პანსიონატის კარს დაკლული ღორის თავი მიაჭედეს; **მოხეში**, სადაც ადგილობრივ მუსლიმებსა და მართლმადიდებელ ქრისტიანებს შორის დაპირისპირება მოხდა; **თერჯოლაში**, სადაც ასევე რელიგიურ ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება ადგილობრივ მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და იეჰოვას მოწმეებს შორის; **ქარელში**, სადაც დაპირისპირების მიზეზი რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენდა ადგილობრივ მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და იეჰოვას მოწმეებს შორის; **ლენინოვკაში**, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები - ბოშები ცხოვრობენ; **გაჩიანში და სამგორში**, სადაც აგრეთვე ბოშები არიან დასახლებულები.

ა) რელიგიური უმცირესობები

რელიგიის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მოიცავს როგორც ადამიანის შინაგანი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის, ისე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოვლენის თავისუფლებას. სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ არ ჩაერიოს რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაში, არამედ ხელი შეუწყოს ამ უფლების ეფექტურ რეალიზაციას.

წინამდებარე საანგარიშო პერიოდში, კვლავაც პრობლემად დარჩა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, კერძოდ, ძალადობისა და მასზე სამართალდამცველების მხრიდან არაადეკვატური რეაგირების საკითხი.

- მობილური ჯგუფი 19 სექტემბერს დაბა ქობულეთში ჩავიდა, რათა ადგილზე გასცნობოდა და შეესწავლა 10 სექტემბერს მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც ქობულეთში მოსახლეობამ მედრესეს შენობას ღორის თავი მიაჭედა. გავრცელებული და დადასტურებული ინფორმაციით, ქრისტიანული აღმსარებლობის ჯგუფმა, რომელიც მედრესეს მშენებლობას აპროტესტებდა, ღორის თავი მიაჭედა შენობის კარს. მართლმადიდებელ მოსახლეობას პროტესტის გრძნობა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ფართის მესაკუთრემ, თურქეთის მოქალაქემ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მედრესეს მშენებლობა დაგეგმა. ინციდენტის დროს მუსლიმები ადგილზე არ ყოფილან. შედეგად, დაპირისპირება არ მომხდარა. აღნიშნული საქმე წარმოებაში ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა აიღო. მათი თქმით, პანსიონატის ხელმძღვანელები კონკრეტული/იდენტიფიცირებადი ჯგუფის მხრიდან განგრძობითად განიცდიდნენ შეურაცხყოფას და საქმიანობისთვის ხელშეშლას. მოცემულ ქმედებაში აშკარად ჩანს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (დევნა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დროულ და ეფექტურ გამოძიებას მოითხოვს.
- თბილისის ადამიანის უფლებათა მობილური ჯგუფი, მონიტორინგის მიზნით, 23 ოქტომბერს ჩავიდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, სადაც მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ადგილობრივმა აჭარელმა მუსლიმებმა პროტესტის ნიშნად ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებს არ მისცეს საშუალება, რომ ყოფილი კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაეწყოთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შესაძლო დაპირისპირების ასაცილებლად, შენობის პერიმეტრს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამართალდამცავები იცავდნენ. თვითმხილველების ინფორმაციით, შეკრებილმა მოქალაქეებმა პოლიციის

თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და პოლიციის ავტომობილები დააზიანეს. მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველებმა 14 პირი დააკავეს. თვითმხილველი მუსლიმი მოსახლეობის თქმით, მათ წინააღმდეგ პოლიციამ არაპროპოციული ძალა გამოიყენა. მათივე თქმით, დაკავებულ პირებს შორის რამდენიმე ადამიანი პოლიციელებმა სასტიკად ცემეს, მათ შორის ქალბატონი, რომელმაც სახეზე დაზიანებები მიიღო. მუსლიმების თქმით, დაკავებულთა შორის არიან ის ახალგაზრდებიც, რომლებიც შემთხვევის ადგილზე პოლიციელების საქციელის გადაღებას ცდილობდნენ. მათ პოლიციამ ტელეფონები ჩამოართვა და გაუნადგურა.

სოფლის აჭარელი მუსლიმები, რომლებიც მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან შენობაში კულტურის სახლის ან ბიბლიოთეკის განთავსებას. ისინი მიიჩნევენ, მეჩეთის ძველ ნაგებობას თავისი პირვანდელი სტატუსი უნდა დაუბრუნდეს. ასეთი თხოვნით მათ ჯერ კიდევ 90-იან წლებში მიმართეს მთავრობას, თუმცა, უშედეგოდ.

მუსლიმი მოსახლეობის მოთხოვნას, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობა. ისინი მოხეში პირველი მოსახლეები იყვნენ, რომლებიც იქ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მესხების გასახლების შემდეგ - 1944 წელს, რაჭიდან ჩაასახლეს. რადგან სოფელში არ არსებობს ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი კულტურული ცენტრი, მართლმადიდებელ მოსახლეობას სურს, რომ შენობაში კულტურის სახლი განთავსდეს.

ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან უმოქმედობას. მოსახლეობას შორის არსებულმა დაპირისპირებამ სერიოზული სახე მიიღო, სიტუაცია დაძაბულია და ნებისმიერ დროს შესაძლებელია მდგომარეობის დამძიმება.

- თერჯოლაში მცხოვრებმა იეჰოვას მოწმეებმა 2014 წლის მარტში ქალაქის ცენტრში შეიძინეს მიწის ნაკვეთი. ამჟამად არსებულ სამლოცველოში, რომელიც იეჰოვას ერთ-ერთი მოწმის კერძო სახლის პირველ სართულზეა განთავსებული, თემი ვეღარ ეტევა. ამიტომ, მათ გადაწყვიტეს ახალი სამლოცველო სახლის მშენებლობა. მშენებლობის ნებართვა გამგეობამ გასცა, თუმცა, ერთ-ერთი მოქალაქის საჩივრის საფუძველზე მშენებლობა შეჩერდა. მომჩივანი პირის განცხადებით, სამლოცველო სახლის მშენებლობა ზიანს აყენებდა მის საკუთრებას.

იეჰოვას მოწმეების განცხადებით, მართლმადიდებელი მოსახლეობა მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. ამასთან, საცხოვრებელი სახლების ფანჯრებს ესვრიან კენჭებს. იეჰოვას მოწმეების თქმით, ამგვარ დისკრიმინაციულ ქმედებებს სასულიერო პირები ხელმძღვანელობენ.

- იეჰოვას მოწმეების შევიწროვების ფაქტი დაფიქსირდა ქარელის რაიონშიც. 2015 წლის 28 ივლისს თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მობილური ჯგუფი იმყოფებოდა ქარელის რაიონის სოფელ დირბში, სადაც ადგილზე გაეცნო სიტუაციას და შეხვდა იეჰოვას მოწმეებს, რომლებზეც ძალადობის ფაქტი განხორციელდა სასულიერო პირის მხრიდან. ქარელის რაიონის სოფელ დირბში მცხოვრები იეჰოვას მოწმეების განცხადებით, უკვე დიდი ხანია, სოფლის სასულიერო პირისგან განიცდიან დევნას. აღნიშნულმა სასულიერო პირმა, 2015 წლის მაისში, ერთ-ერთ მოწმეზე ფიზიკურად იძალადა. ამ ფაქტზე, რელიგიური დევნის ბრალდებით, ხაშურის რაიონულ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. როგორც უფლებადამცველთა

მობილური ჯგუფის იურისტმა გაარკვია, საქმეში მოწმეებს ჯერ არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ამ დრომდე საქართველოში პრობლემად რჩება რელიგიური შეუწყნარებლობა. ის შემთხვევები, რომლებიც მონიტორინგის ფარგლებში იქნა შესწავლილი, ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობა ქმნის უფლებათა დარღვევის პრეცედენტებს, რაც ხელს უწყობს რეგლიგიის თავისუფლების შეზღუდვას.

კონკრეტულად კი, რელიგიურ ნიადაგზე უმცირესობების მიმართ ძალადობის დროს სახელმწიფოს სტრუქტურული საგამოძიებო ორგანოები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას. ძალადობის საქმეებში, სადაც მოძალადედ ფიგურირებენ სასულიერო პირები გამოძიება გამოძიებას არ აქვს არანაირი საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული, თვეებისა და წლების მანძილზე საქმეებში არ არიან დაზარალებულები და ბრალდებულები. ძალადობის საქმეებში, სადაც მოძალადედ ფიგურირებენ სამოქალაქო პირები, გამოძიება მიიმდინარეობს არაექტურად, საქმეები არის ხელოვნურად გაჭიანურებული და არ არის დასრულებული. ყოველივე იმის შედეგია, რომ რელიგიურ ნიადაგზე ძალადობის ფაქტზე არავინ არ არის პასუხისმგებში მიცემული.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში რელიგიის თავისუფლება დაცულია სამართლებრივი ნორმებით, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან არაექტური გამოძიების ჩატარებით ქვეყანაში დამკვიდრდა პრაქტიკა, რელიგიურ ნიადაგზემოძალადეების მიმართ დაუსჯელობის სინდრომი.

ბ. ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებული ვითარება ძირეულ ცვლილებას და პროგრესს ძალიან ნელი ტემპით, რიგ საკითხებში კი, პრაქტიკულად არ განიცდის. მონიტორინგმა გამოავლინა მძიმე დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებებთან. ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ბოშათა უფლებებზე. ბოშათა კომპაქტური ჩასახლების სხვადასხვა ადგილებში მთელი რიგი პრობლემები გამოიკვეთა:

- დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში (ყოფილი სოფ. ლენინოვკა) მცხოვრებ უმცირესობათა პრობლემების გასარკვევად გასულ უფლებადამცველთა ჯგუფს დახვდა საკმაოდ რთული მდგომარეობა: მოსახლეობას არ აქვს ბუნებრივი აირი და არ მიეწოდება წყალი. სოფელი სარგებლობს არტეზიული ჭებით, სადაც ზაფხულში წყლის დონე მკვეთრად კლებულობს და სასმელი წლის დეფიციტი მწვავედ იგრძნობა. სოფელში მიმავალი გზა მძიმე მდგომარეობაშია. სოფელს არ აქვს საბავშვო ბაღი და სკოლა. ამის გამო ბავშვები მიკროავტობუსით დადიან დედოფლისწყაროში. გარდა ამისა, სოფელში არ არის აფთიაქი და მაღაზია.

საკმაოდ სერიოზული პრობლემა და პოტენციურ კონფლიქტის წყაროა ის ფაქტი, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების კუთვნილი საქონელი შედის მოსახლეობის ბაღებში და სისტემატურად ანადგურებს მათ მოსავალს და ნარგავებს. მძიმე სოციალური ფონი მოსახლეობის პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს. ხშირია კონფლიქტები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უმოქმედობის გამო, მოსახლეობა გაუსადმლის პირობებში ცხოვრობს; გარდა ამისა, თემის წარმომადგენელთა უმრავლესობას არ აქვს დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. პირადობის დამადასტურებელი საბუთებისა და ფულის არქონის გამო, მათ უჭირთ საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

- გარდაბნის რაიონში, გაჩიანის მახლობლად მდებარე სოფელ აგთაკლიაში ცხოვრობს ბოშების 10 ოჯახი, დაახლოებით 100 ადამიანი. სოფელს არ აქვს სასმელი წყალი. ელექტროგაყვანილობა სოფელში არის, მაგრამ ელექტროენერგია ხშირად ითიშება. სოფელი არ არის გაზიფიცირებული, მოსახლეობა ყიდულობს თხევად აირს, რაც მათ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. სოფელს გზა არ აქვს და არც ტრანსპორტი ემსახურება. უახლოესი მაღაზია მდებარეობს 2 კმ-ის დაშორებით. მხოლოდ სამი ბავშვი დადის ქალაქ რუსთავის სკოლაში, სხვა ბავშვები სკოლაში არ დადიან და თბილისში “მუშაობენ”, რაც მოწყალეების თხოვნას გულისხმობს. ეს არის მათი არსებობის ერთადერთი წყარო. სოფლის სახლები ფიცრულია, ალიზით შელესილი. წვიმის დროს ჭერიდან ოთახებში წყალი ჩადის. მოსახლეობის უმრავლესობას სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები დარეგისტრირებული არ აქვს. დასახლებაში არის ანტისანიტარია - ნაგავსაყრელი დასახლებულ პუნქტთან ახლოსაა განთავსებული.
- გაჩიანში მცხოვრებ ბოშათა თემის პრობლემა, რომელიც ძირითადად საკუთრების რეგისტრაციის არქონით არის განპირობებული, გამოწვეულია ორი ფაქტორით: 1. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით; 2. ცნობიერების დაბალი დონისა და სახელმწიფო ენის არცოდნით. ბოშათა თემი, უმუშევრობასთან ერთად უმთავრეს სოციალურ პრობლემებად მიიჩნევენ კრიმინალის მაღალ მაჩვენებელსა და გოგონების ნაადრევ ქორწინებას. ტრადიციის თანახმად, ხშირია გოგონების ნაადრევი ქორწინება, ხელისუფლება კი კანონდარღვევებზე ხშირად დუმს.
- თემის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს მობილური ჯგუფის შეხვედრა სამგორის რაიონში მცხოვრებ ბოშებთან - სამგორის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ისინი ვაჭრობენ. ბევრ მათგანს არ აქვს პასპორტი ან/და პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი. ერთ-ერთ ბავშვს, რომელიც უკვე 12 წლისაა, არ აქვს დაბადების მოწმობა.

იმის გამო, რომ ბოშების დიდ ნაწილს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი, ისინი ვერ სარგებლობენ მოსახლეობისთვის განკუთვნილი სერვისებით და სოციალური პაკეტებით: ბავშვები ვერ დადიან სკოლებში და ბაღებში, საპენსიო ასაკს მიღწეული პირები ვერ იღებენ პენსიას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ვერ სარგებლობს სოციალური დახმარებით და საყოველთაო დაზღვევის პროგრამით.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

მონიტორინგის პროცესში საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესწავლასა და დაცვას. წინამდებარე ანგარიშის გარკვეული ნაწილიც ზუსტად ამ საკითხებს აღწერს. მონიტორინგის შედეგად ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა. ძირითადი დარღვევები დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში დაფიქსირდა. პრობლემად რჩება ასევე უსახლკაროთა და თავშესაფრის არმქონე პირთა მძიმე მდგომარეობა.

სოციალურად დაუცველ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, სათანადო საცხოვრისის უფლება

სათანადო საცხოვრისის უფლება საქართველოს მიერ მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული უფლებაა. სახელმწიფო უნდა შეეცადოს, ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამის საბინაო რესურსებზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი უსახლკაროა და არ აქვს სათანადო საბინაო პირობები, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სასარჩელო წესით მოითხოვოს საბინაო რესურსზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელებისთვის საჭირო პოლიტიკის შემუშავებასა და საკანონმდებლო აღიარებაზე იქნება ორიენტირებული.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის ვალდებულება საქართველოს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით აქვს აღიარებული, პრაქტიკაში მათი აღსრულება არ ხდება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, საქართველოში 120 000 სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობს. სოციალურად დაუცველია პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები.

უფლებადამცველების მობილურმა ჯგუფმა პროექტის - „ადამიანის უფლებები რეგიონებში“ - ფარგლებში 5 შეხვედრა გამართა სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან. გარდა ამისა, ისინი მათ მუდმივად ეხმარებოდნენ კონსულტაციებით. დღის განმავლობაში ყველაზე დიდი მომართვიანობა სოციალურად დაუცველი პირებისაგან ფიქსირდებოდა.

უფლებადამცველების მობილური ჯგუფი, 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის ივლისის ჩათვლით, შეხვდა: მოსკოვის გამზირზე მდებარე უსახლკაროთა თავშესაფარში, ე.წ. კარვების ქალაქში მცხოვრებ, ლოტკინისა და ალექსეევკას დასახლებასა და მელიქიშვილის №49-დან გამოსახლებულ სოციალურად დაუცველებს.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მდგომარეობა ნათლად გამოჩნდა ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოებისას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირებს ხშირად კანონის დარღვევით უწყვეტენ სოციალურ დახმარებას, იმ შემთხვევაში, თუ იღუპება ოჯახის რომელიმე წევრი ანდა ოჯახი ყიდულობს ტელევიზორს ან სხვა, რომელიმე აუცილებელ საყოფაცხოვრებო ნივთს.

სოციალურად დაუცველებს ხშირად არ აქვთ იმის საშუალება, რომ მიმართონ სასამართლოს და გაასაჩივრონ სოციალური დახმარების შეწყვეტა. მობილური ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, ძირითადად, იკავებს მიტოვებულ ფართს, რომლის მფლობელიც სახელმწიფო ან კერძო პირია. ამის შემდეგ მათ წინააღმდეგ იწყება სამართლებრივი დავა და სოციალურად დაუცველი პირები ღია ცის ქვეშ რჩებიან. მობილური ჯგუფის ჩარევისა და ადგილზე მისვლის შემდეგ, მელიქიშვილის გამზირის ნომერ 49-დან გამოსახლებულ პირებს ვაკე-საბურთალოს გამგეობამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ფართებში ქირით გადასვლა შესთავაზა, მაგრამ, მოსახლეობის ნაწილი ამ შეთავაზებას არ დათანხმდა. მათ აქვთ საფუძვლიანი შიში, რომ გარკვეული დროის შემდეგ გამგეობა მათ ქირის თანხას აღარ გადაუხდის და ისევ ღია ცის ქვეშ დარჩებიან.

- თბილისში, მელიქიშვილის ქ. N49ა-ში მცხოვრები 12 ოჯახი ღამეს ათევდა ღია ცის ქვეშ. ამის მიზეზი არის ის, რომ შენობის მესაკუთრეებმა, რომლებმაც სახლის დანგრევა და ახალი შენობის აშენება გადაწყვიტეს, მუშების დახმარებით და ძალის გამოყენებით გამოასახლეს იქ მცხოვრები 23 ადამიანი. ამასთან, ისე დააზიანეს სახლში შესასვლელი კიბე, რომ იქ შესვლა სიცოცხლისთვის საშიში იყო და მოსახლეობამ იქედან პირადი ნივთები და ავეჯი ვერ გამოიტანა. გარკვეული დროის მანძილზე ეს ადამიანები უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულები, თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ, მათი მდგომარეობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო დაინტერესდა.

გამოსახლების შემდეგ, ბავშვებიან ორ ოჯახს, მთაწმინდის გამგეობამ ბინის დასაქირავებლად 510 ლარი მისცა. დანარჩენმა ოჯახებმა ბინები თავად მოიძიეს, თუმცა, გაუთვალისწინებელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: გასაქირავებელი ბინის მფლობელები, როგორც წესი, ქირას წინასწარ ითხოვენ, გამგეობა კი თანხის ჩასარიცხად ითხოვს ბინის მეპატრონესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

მოსახლეობა ითხოვდა ალტერნატიული ფართის გამოყოფას და მის საკუთრებაში დარეგისტრირებას.

- მობილური ჯგუფი დაინტერესდა ლოტკინის მთაზე, ზღვის უბნის მეორე მიკრორაიონის ორ კორპუსში მცხოვრები 108 ოჯახის გამოსახლების საკითხით. არსებული საცხოვრებელი კორპუსები „მეტრომშენის“ თანამშრომლების ბინით დაკმაყოფილების მიზნით გასული საუკუნის 90-იან წლებში აშენდა. დაუსრულებელი შენობები წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუვლელი იყო. 2003 წელს აღნიშნულ კორპუსებში მოსახლეობა შესახლდა მას შემდეგ, რაც იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ უსახლკარო ოჯახები თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, მიტოვებულ შენობებს ნახავდნენ, შესახლებულიყვნენ და მთავრობა მათ ამ შენობებს დაუკანონებდა. ზღვის უბნის მეორე მიკრორაიონში მცხოვრებ მოსახლეობას აქვს იმდროინდელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომ ტერიტორია და კორპუსები არის სახელმწიფოს საკუთრება. თუმცა, მათ ამჟამად ედავებიან კერძო პირები, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს ბინები მათ საკუთრებაში „მეტრომშენმა“ გადასცათ და საჯარო რეესტრიდან ამ ფაქტის დამადასტურებელი ამონაწერიც აქვთ. ირკვევა, რომ 2006 წელს შენობები დარეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო ქონება, რომელიც 2008 წელს თბილისის მერიას, მოგვიანებით კი „მეტრომშენს“ გადაეცა.

პოლიციამ მოსახლეობა ღამის საათებში, თანაც ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე გამოასახლა. გარდა ამისა, პოლიციის მხრიდან მოსახლეობა განიცდიდა შეურაცხყოფელ და დამამცირებელ მოპყრობას. ამ ფონზე მათ ხშირად აღენიშნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები - უძილობა, შფოთვა, მუდმივი დამაბულობა, შიში, პრობლემები ოჯახის წევრებთან (განსაკუთრებით ბავშვებთან) ურთიერთობაში და სუიციდური აზრები. ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, პოლიციის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებზე შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით, მობილური ჯგუფის იურისტმა გაგზავნა განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში. ჯგუფის იურისტმა ამავე საქმეზე განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და მისგან შესაბამისი ზომების გატარება მოითხოვა.

- მოქალაქე დ.ჩ-მ დახმარების თხოვნით მიმართა ადამიანის უფლებათა თბილისის სახლს. იგი არის მარტოხელა დედა, ზრდის ორ შვილს და სოციალურად დაუცველია. მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, სტაბილური შემოსავალი და დარეგისტრირებული უძრავი ქონება. ოთხი წლის განმავლობაში ის თავის შვილებთან ერთად მეგობართან ცხოვრობდა. გაუსაძლისმა პირობებმა და სტრესულმა ცხოვრებამ მის და მისი შვილების ჯანმრთელობასა და ფსიქიკაზე მძიმედ იმოქმედა.

ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა განიხილა დ.ჩ-ს საბინაო პრობლემები და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არ აქვს საბინაო ფონდი. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუსაფარ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირდაპირი ვალდებულებაა.

გაირკვა, რომ დ.ჩ. ოცი წლის განმავლობაში უვლის დიდი დიდმის მიმდებარე ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთს (600 კვ/მ). აღნიშნული მიწის ნაკვეთის დასაკანონებლად დ.ჩ-მ მიმართა მერიას, რომელმაც საკითხი გადასაწყვეტად გადაუგზავნა საკრებულოს - ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას. კომისიამ დ.ჩ-ს მოთხოვნაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი ცარიელია და მასზე არ დგას შენობა-ნაგებობა.

დ.ჩ-ს განცხადებით, იგი იძულებული გახდა, წინსწრებით გამოტანილი სოციალური დახმარების მეშვეობით აღნიშნულ ნაკვეთზე შენობა აეშენებინა. იმის მაგივრად, რომ სახელმწიფომ შეასრულოს თავისი ვალდებულება და დ.ჩ-ს და მის შვილებს მისცეს თავშესაფარი, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, გ. დარჩიაშვილი მათ შენობის დანგრევით ემუქრებოდა. გარდა ამისა, ოჯახი სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N131 დადგენილებით განმარტებულ მიუსაფარი პირის დეფინიციას.

- მობილური ჯგუფის წევრები იყვნენ ქ. თბილისში, ე.წ. ქვემო ალექსეევკის დასახლებაში. ერთ-ერთი შენობა, რომლის მშენებლობაც დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო, მიტოვებულია ე. წ. შავი კარკასის მდგომარეობაში და იქ არავინ ცხოვრობდა. შენობა ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის.

მითითებულ შენობაში 2014 წლის სექტემბრის თვეში შეიჭრა ოთხი ოჯახი, რომელთაგანაც სამი სოციალურად დაუცველია. ერთი სოციალურად დაუცველი

ოჯახი მრავალშვილიანია: ოჯახში ექვსი არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, რომელთაგან ერთი ფსიქიკურად დაავადებულია. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი ფართის არქონის გამო, ოჯახი იძულებული გახდა შეჭრილიყო შენობაში. შენობა ორსართულიანია, არ არის გადახურული. შენობაში არ არის საკანალიზაციო სისტემა, ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი.

რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ითხოვენ შენობის დაცლას და ოჯახებს გამოსახლებით ემუქრებიან. ამის გამო, შენობაში შეჭრილი ოჯახები, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მორიგეობით ათევენ ღამეს გაყინულ ოთახებში, რათა დაიცვან თავიანთი საცხოვრისი.

გამოიკვეთა, რომ არსებული პრაქტიკა საჭიროებს დახვეწას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური მუშაობა ამ მიმართულებით.

- **ლ. გ.-ს საქმე:** ლ. გ. დაბადებულია რუსეთში. ბავშვობაში ის მშობლებთან ერთად, საცხოვრებლად გადმოვიდა საქართველოში და მას შემდეგ მუდმივად აქ ცხოვრობს. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი სამართლებრივ დახმარებას უწევს ლ. გ.-ს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ის წლების მანძილზე იღებდა შშმ პირის პენსიას. ლ. გ. 1992 წლიდან მკურნალობს თბილისში, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო მას 4 წლის წინ შეუჩერეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი და შესაბამისად, პენსია.

ლ.გ. არის რუსეთის მოქალაქე, ბოლო ათეული წელია ცხოვრობს საქართველოში, ამჟამად თავშესაფარი აქვს ეგრეთ წოდებულ კარვების ქალაქში. მას არ ჰყავს მზრუნველი, ოჯახის წევრი და ნათესავი.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის დახმარებით ლ. გ.-ს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. შესაბამისად, აღუდგა წლების წინ შეწყვეტილი პენსია.

ეკოლოგიური პრობლემები: სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება

კავკასიაში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემები. მათ შორის აღსანიშნავია ატმოსფეროსა და წყლის რესურსების დაბინძურება, მინერალური რესურსების არარაციონალური გამოყენება, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება, სანაპიროების გარეცხვა-დაშლა, მიწის ეროზია, ტყეების ფართობებს შემცირება და სხვა.¹

მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლით არცთუ ისე ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა დაკავებული, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი დაინტერესდა

¹ <https://geoecoproblems.wordpress.com/>; ბოლო ნახვა 2015 წლის აგვისტო;

ზესტაფონის, ჭიათურისა და დუშეთის რაიონების ეკოლოგიური მდგომარეობით. უფლებადამცველების მობილური ჯგუფი იმყოფებოდა **მლეთაში, ზესტაფონსა და ჭიათურაში**, სადაც ადგილზე გაეცნო გარემო პირობებს.

ზესტაფონსა და ჭიათურაში ეკოლოგიური მდგომარეობა საგანგაშოა ფეროშენადნობი ქარხნის გამონაბოლქვის და მარგანეცის მოპოვება-გადამუშავების პროცესში არსებული დარღვევების გამო. 2007-2011 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად, ირკვევა, რომ ზესტაფონის რაიონში, ყოველწლიურად მატულობს ონკოლოგიური პაციენტების რიცხვი. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი სამუშაოები სრული ნორმების დაცვით არ შესრულდება, რისი პრევენდენტიც უკვე მოხდა 2013 წლის ზაფხულში, კიდევ უფრო დამძიმდება ზესტაფონში არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარება.

- უფლებადამცველთა მობილური ჯგუფის წევრები ზესტაფონში 2014 წლის 3 ნოემბერს იმყოფებოდნენ. საველე სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა: მომატებულია სიმსივნური დაავადებების რაოდენობა. ასევე მოპოვებული მტკიცებულებით, ფეროშენადნობი ქარხანა უმეტესად გამორთული ფილტრებით მუშაობს, რაც იქ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის საშიშია.

მობილური ჯგუფის ინფორმაციით, „ჯორჯიან მანგანეს“ ზესტაფონში მუშაობის ლიცენზია არ აქვს.² 2015 წლის 19 თებერვალს, მობილურ ჯგუფს ეცნობა, რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას მხოლოდ ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში და ჭიათურის მანგანუმის საბადოზე მანგანუმის მოპოვებაზე. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში კი „ჯორჯიან მანგანეს“ მხოლოდ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (საყოფაცხოვრებო მიზნით) მოპოვების უფლება აქვს. შედეგად, გაირკვა, რომ კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ ზესტაფონის რაიონში მუშაობს კანონდარღვევით - ნებართვის გარეშე.

ზესტაფონის არასამთავრობო ორგანიზაციის - “მლიერი და ჯანსაღი ზესტაფონი” ხელმძღვანელმა ადამიანის უფლებათა თბილისის სახლს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ზესტაფონში ეკოლოგიური მდგომარეობა საგანგაშოა ფეროშენადნობი ქარხნის გამონაბოლქვის გამო.³ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2007-2011 წლებში ჩატარებული უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების (ფორმა IV-08) შედეგად ირკვევა, რომ ზესტაფონის რაიონში ყოველწლიურად მატულობს ონკოლოგიური პაციენტების რიცხვი.

იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი გასაფილტრი სამუშაოები არ შესრულდება სრული ნორმების დაცვით, ზაფხულში კიდევ უფრო დამძიმდება ზესტაფონში არსებული მძიმე ეკოლოგიური ვითარება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2007 წელს ზესტაფონში ყოველ 100 000 მოსახლეზე 982 ონკოლოგიურად დაავადებული მოდიოდა. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მატულობს. 2008 წელს ონკოლოგიურ

² გარემოს ეროვნული სააგენტო, #21/1381 (2015 წლის 10 თებერვალი).

³ სსიპ-ლ.საყვარელიძეს სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის წერილი, 01/1111/8 (2015 წლის 17 თებერვალი).

პაციენტთა რიცხვმა 1023-ს მიაღწია. 2009 წელს დაფიქსირდა 1067 დაავადებული, 2010 წელს - 1125, ხოლო 2011 წელს - 1133.

- უფლებადამცველთა მობილური ჯგუფი ჭიათურაში 2015 წლის 9 თებერვალს იმყოფებოდა. გასვლის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მარგანეცის კარიერული მეთოდით დამუშავების შედეგად ამოღებული ფუჭი ქანების დაგროვებით წარმოქმნილია სერების მსგავსი ზვინულები, რომელთა სიმაღლე ათეულობით მეტრია. რამდენიმე ადგილზე წარმოქმნილია მცირე მეწყრული ზონები, სადაც წვიმის დროს შეუძლებელია გადაადგილება როგორც ტრანსპორტით, ისე ფეხით. იმ ადგილებში, სადაც მარგანეცის მადანია ამოღებული, წარმოქმნილია 15-20 სმ-ის სიღრმის ქვაბულები, რომლებიც წყლითაა სავსე და წარმოადგენს მრავალგვარი დაბინძურების კერებს. სოფელში დაშრა არსებული ჭები და წყარო. არ მომხდარა გამოყენებული ტერიტორიის რეკულტივაცია.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ჭიათურაში არ ხდება წყლის გაუსწებოვნება-დეზინფექცია. მის გარეშე კი წყლის მოხმარება დაუშვებელია. დაბინძურებული წყალი, შესაძლოა, ნაწლავთა მწვავე ინფექციური დაავადების გამომწვევი მიზეზი გახდეს.

აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება წყალმოხმარების წესების თაობაზე. წყალი ეპიდემიური თვალსაზრისით არაკეთილსაიმედოა. სავალალო მდგომარეობაშია მდინარე ყვირილაც. გარდა იმისა, რომ მასში ჩაედინება დაბინძურებული წყლები, გამომუშავებული მადანი და სამშენებლო ნარჩენები პირდაპირ მის ნაპირზე იყრება. შესასწავლად აღებულ იქნა წყალსადენების, ზედაპირული წყლების, ფსკერული დანალექების და ჰაერის ნიმუშები. ჭიათურაში შესწავლილი 5 წყალსადენიდან არცერთში არ ხდება წლის სათანადო დამუშავება. ყველა ნიმუშში მანგანუმისა და რკინის შემცველობა დასაშვებ კონცენტრაციას მკვეთრად აღემატება.

მანგანუმის შემცველობა დასაშვებ კონცენტრაციას ბევრად აღემატებოდა ფსკერული დანალექებისა და ჰაერის ნიმუშებშიც. ასევე შესწავლილ იქნა მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობა ჭიათურასა და ზესტაფონში. მუშათა ჯანმრთელობის მდგომარეობა ორივე რეგიონში დაახლოებით ერთნაირი იყო. თუმცა, ჭიათურის მაღაროს მუშებს, ზესტაფონის ქარხნის მუშებთან შედარებით უფრო მეტად აღენიშნებოდათ ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები - საერთო სისუსტე, მეხსიერების დაქვეითება, თავბრუსხვევა, უძილობა და ოფლიანობა. პოპულაციური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაავადებათა გავრცელება სოფლებთან შედარებით ჭიათურაში 2-ჯერ მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ პილოტური კვლევა იყო და მიზანშეწონილია, მომავალში ჩატარდეს უფრო მასშტაბური კვლევა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ დაავადებებსა და სიმპტომებზე იქნება ფოკუსირებული.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჭიათურელთა კავშირის“ დაკვეთით, ჭიათურის ატმოსფერულ ჰაერში ჩატარებული კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ მანგანუმის

მომპოვებელი საწარმოების გავლენით საცხოვრებელი სახლები და ატმოსფერული ჰაერი მანგანუმის ორჟანგითაა დაბინძურებული.⁴

- ქ. ჭიათურაში არ არის საავადმყოფო. ამის გამო, ავადმყოფები გადაჰყავთ ზესტაფონში, საჩხერესა და ქუთაისში. შესაბამისად, ჭიათურაში არ აქვთ ავადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია. ფაქტია, რომ 2014 წელს მხოლოდ 341 ბავშვი შევიდა პირველ კლასში - ქალაქი ფაქტობრივად იცლება.

„ჯორჯიან მანგანუმ“ გააუქმა პირველადი სამედიცინო მომსახურების პუნქტები გადამამუშავებელ ქარხნებში. სამედიცინო მომსახურების პუნქტები ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ მაღაროებში.

მაღაროს მუშებს არ ეძლევათ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის საკვები (მაწონი, არაჟანი, რძე). ხშირია მუშების კვებითი ინტოქსიკაცია უვარგისი ხორცპროდუქტების მიღების გამო.

- მობილური ჯგუფის ჭიათურაში ყოფნის დროს გაირკვა, რომ სოფელ დარკვეთში იმართებოდა საპროტესტო აქცია. მოსახლეობა აპროტესტებდა სატვირთო მანქანების მიერ ნედლეულის გადატანას, რადგან მანგანუმით დატვირთული ტრანსპორტის გადაადგილება იწვევს ქალაქის დაბინძურებას, ნიადაგის ვიბრაციის გამო კი შენობები ზიანდება. გარდა ამისა, მოსახლეობას ტრანსპორტის ხმაურიც აწუხებს.

მარგანეცის მტვერი, რომლითაც დაფარულია ქალაქ ჭიათურის ქუჩები, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებას ახდენს. სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, ქალაქის დაბინძურება მრავალჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. შესასწავლად აღებული იყო წყალსადენების, ზედაპირული წყლების, ფსკერული დანალექების და ჰაერის ნიმუშები. შესწავლილი 5 წყალსადენიდან არც ერთში არ ხდება წყლის სათანადო დამუშავება. ყველა ნიმუშში მანგანუმისა და რკინის შემცველობა მაღალია დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით. ფსკერული დანალექებისა და ჰაერის ნიმუშების ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მანგანუმის შემცველობა ზღვრულ კონცენტრაციას ბევრად აღემატებოდა.

წლების წინ „ჭიათურ მარგანეცი“ უფრო მეტი რაოდენობის მანგანუმს ამუშავებდა, ვიდრე ამჟამად, თუმცა, მაშინ მაღანი გადაჰქონდათ არა სატვირთო ტრანსპორტით, არამედ საბაგირო გზით. ამჟამად საბაგირო გზა აღარ ფუნქციონირებს.

ადგილზე ხდება მარგანეცის „მშრალი“ და არა „სველი“ დამუშავება, რაც იწვევს მარგანეცის მტვრის დიდი რაოდენობით გაფანტვას გარემოში. მადნის მოპოვების შემდეგ არ ხდება ნიადაგის რეკულტივაცია. ამის გამო უხეშად ირღვევა მარგანეცის მოპოვების წესი.

ამორტიზებულია მადნის „დასალექი“ სპეციალური მოწყობილობები და მადნის ნარეცხი მასა პირდაპირ ჩაედინება მდინარე ყვირილაში, რაც მის მოწამვლას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის სასმელი წყლის სისტემა ეკუთვნის „ჯორჯიან მანგანუმს“, უკვე დიდი ხანია რაც წყალშემკრები აუზები და მთლიანად სისტემა არ გაქმნენდილა.

⁴ შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საგამოცდო კვლევითი ლაბორატორიის კვლევა, ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლების კვლევა (2013-2014).

მადარობთან მიმავალი გზები, რომლებიც „ჯორჯიან მანგანუმის“ ბალანსზეა, საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. სატვირთო მანქანების მოძრაობით წარმოქმნილი ორმოები ივსება მარგანეცის შემცველი ნარჩენებით (ე.წ. კუდებით), რომლებიც დროთა განმავლობაში ფხვნილად იქცევა და წამლავს როგორც ადამიანებს, ისე გარემოს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოსახლეობა აღნიშნულ ფაქტს დიდი ხანია აპროტესტებს, მაგრამ მხოლოდ მობილური ჯგუფის ადგილზე მისვლის შემდგომ გამოცხადდა „ჯორჯიან მანგანუმის“ წარმომადგენელი და მოსახლეობას განუმარტა, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებოდა და მეორე დღესვე დაიწყებდნენ ალტერნატიული გზის მშენებლობას. რამდენიმე თვის შემდეგ ჭიათურიდან მობილური ჯგუფის წევრებს აცნობეს, რომ კომპანია დანაპირებს ასრულებს.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.


მიუხედავად ამისა, უფლებადამცველთა მობილური ჯგუფის მიერ ამ მიმართულებით შესწავლილი შემთხვევების ანალიზი ცხადყოფს, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მათი ინფორმირებულობის კუთხით კვლავ ბევრი ხარვეზი არსებობს და აუცილებელია, ეროვნულ კანონმდებლობაში უფრო დეტალური წესების და პროცედურების გაწერა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

დევნილთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილება და სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მუდმივად არის საზოგადოების მაღალი ინტერესის საგანი. 90-იან წლებში განვითარებული მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ იმატა და შესაბამისად, მათი პრობლემების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ძალისხმევაც გაიზარდა. 2015 წლის მარტის მონაცემებით, საქართველოში 263 598 იძულებით გადაადგილებული ადამიანია რეგისტრირებული, რომელთაგან 122 383 კაცია, ხოლო 141 215 – ქალი.⁵

⁵ <https://idfi.ge/ge/number-of-provided-living-areas-for-idps> ; ბოლო ნახვა, 2015 წლის აგვისტო;



იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული ოჯახების შესახებაც, რომელთა რიცხვი 35 ათასია. მათი უმრავლესობა სოციალურ, ეკონომიკურ ან საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას საჭიროებს.

არსებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მობილური ჯგუფი სხვადასხვა რაიონს ეწვია და ადგილზე გაეცნო იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებსა და საჭიროებებს. მობილურმა ჯგუფმა 11 სხვადასხვა ლოკაციაზე შეისწავლა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები.

მობილური ჯგუფი იმყოფებოდა: თბილისის ზღვაზე, დევნილთა ჩასახლებაში, ე.წ. კადეტთა კორპუსში, თემქაზე - ყოფილი სკოლის შენობაში, გორში - საზღვრისპირა სოფლებში (ჯარიაშენი, ახალუბანი, აძვი), წყალტუბოში (სანატორიუმ „მეტალურგსა“ და „მეგობრობაში“), თბილისში, თევდორემღვდლის ქუჩაზე, ორთაჭალაში, ნაძალადევის რაიონში მდებარე ყოფილ ნევროლოგიურ ინსტიტუტში, წალკასა და თბილისის ორ სასტუმროში (ბელიაშვილის 67 ნომერსა და ნუცუბიძის ქუჩის 62 ნომერში).

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

საველე სამუშაოების შედეგად გამოიკვეთა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ, მათთვის ელემენტარული საცხოვრისის პრობლემაც არ არის დაკმაყოფილებული. მობილური ჯგუფის მიერ შესწავლილი შემთხვევებიდან, უმრავლესობა ეხებოდა იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი ფართებიდან კვლავ გამოსახლების პროცესს.

დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოების აღნიშნული ჯგუფის მთავარი პრობლემები წლების განმავლობაში არ იცვლება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის დევნილთა გრძელვადიანი განსახლების საკითხი, რომელიც საქართველოში იძულებით გადაადგილების დაწყების დღიდან აწუხებს დევნილ მოსახლეობას. განსახლების საკითხს ებმის დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში არსებული მდგომარეობა - დევნილებს უმძიმეს პირობებში უწევთ ცხოვრება. გარდა ამისა, დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური პრობლემების წინაშე დგას. მათი გადაჭრის გარეშე კი ამ ადამიანების სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში ვერ მოხდება.

- თბილისის ზღვაზე, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში, ე.წ. კადეტთა კორპუსში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები ითხოვდნენ სახურავის, საკანალიზაციო მილების შეკეთებას და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. მობილური ჯგუფი ადგილზე, სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში მცხოვრებ მოსახლეობას ესაუბრა და მათი პრობლემები ზედმიწევნით შეისწავლა. ამის შემდეგ იურისტმა მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ე.წ. კადეტთა კორპუსში სარემონტო სამუშაოების დროულად ჩატარება. 2015 წლის 16 აპრილს უფლებადამცველების მობილურ ჯგუფს სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტმა წერილობით აცნობა, რომ აღნიშნულ კორპუსში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა.
- 2014 წლის 10 ნოემბერს უფლებადამცველთა მობილური ჯგუფი იმყოფებოდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მდებარე დევნილთა დროებითი განსახლების ადგილებში, კერძოდ, სანატორიუმებში - „მეტალურგი“ და „მეგობრობა“. ადგილზე არსებული ვითარება რთულია. დევნილთა განმარტებით, სანატორიუმ „მეტალურგის“ შენობაში რეგისტრირებულია 70 ოჯახი, მაგრამ მძიმე სოციალური პრობლემების გამო, ადგილზე მხოლოდ 30 ოჯახი ცხოვრობს. შენობა სრულიად მოუვლელი და საცხოვრებლად უვარგისია. სახურავი შესაკეთებელია, წვიმიან ამინდში შენობაში ყოფნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სარდაფში მუდმივად წყალი დგას, რაც შენობის საძირკვლის მდგრადობას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის. ოცდაათივე ოჯახს აქვს მხოლოდ ორი საერთო საპირფარეშო. შენობა არ არის გაზიფიცირებული, ასევე არის ელექტროენერგიისა და სასმელი წყლის პრობლემა. რაც შეეხება ყოფილი სანატორიუმ „მეგობრობის“ N1 შენობას, იქ მცხოვრებ 54 დევნილ ოჯახს ბევრი პრობლემა აქვს. შენობაში არ არის ბუნებრივი აირი, სახურავი შესაკეთებელია, სარდაფი კი - დატბორილი. დევნილების განმარტებით, მათი დროებითი საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია, რაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალურ საფრთხეს უქმნის. მათივე თქმით, არაერთი დაპირების მიუხედავად, მათი საცხოვრებელი პირობები არ უმჯობესდება და არც მათი ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი განიხილება.

ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ღია საბრძოლო მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა ჯერ ისევ მწვავედ განიცდის ომის შედეგებს. მათი ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები დღემდე ირღვევა. კერძოდ, საუბარია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე, უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე ჯანდაცვასა და განათლებაზე.

- სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან ერთად მობილური ჯგუფი გავიდა კონფლიქტური ზონის საზღვრისპირა სოფლებში. მოსახლეობასთან პირველი შეხვედრა ფონდ „ტასოს“ თვითდახმარების ჯგუფის ორგანიზებით **სოფელ ფლავში** გაიმართა. ფლავში დაახლოებით 490 ოჯახი ცხოვრობს. სოფელში არ არის დაყენებული დენის ინდივიდუალური მრიცხველები, ასევე არ არის ბუნებრივი აირი და სასმელი წყალი. შეწყვეტილია სოციალური დახმარებები. საყოველთაო დაზღვევის შესახებ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული. სამედიცინო მომსახურება არ არის სათანადო დონეზე. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ოსური მხარე სისტემატიურად აკავებს მოსახლეობას, მათი გათავისუფლება კი ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელსაც სახელმწიფო არ ფარავს. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები სტუდენტები ვერ იღებენ სასწავლო გრანტებს.
- მეორე შეხვედრა შედგა **სოფელ ქვეშში**, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები: რეგისტრაციის არქონის გამო 16 ოჯახს არ აქვს დენის ინდივიდუალური მრიცხველი. მოსახლეობა ითხოვს ტრანსპორტზე ფასის შემცირებას, სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფას და იმ საზღვრისპირა სოფლებში (ჯარიაშენი, ახალუბანი, აძვი) მიწების რეგისტრაციას, სადაც ისინი შესვლას ვერ ახერხებენ. დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ არასამართლიანად გაცემულ სოციალურ დახმარებებზე.
- მობილურმა ჯგუფმა მოინახულა **ქ. გორის საბავშვო ბაღის შენობაში** საზღვრისპირა სოფელ ზარდიაანთკარიდან ჩასახლებული 25-მდე დევნილი ოჯახი. ისინი იქ უკვე 6 წელია ცხოვრობენ. ბაღის გამგე მათ გასახლებას და ბაღის გაფართოებას ითხოვს. დევნილები ვერ ბრუნდებიან თავიანთ სოფელში იქ არსებული არასათანადო საცხოვრებელი პირობების და საფრთხის გამო. შენობაში არ არის დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები. დევნილები ითხოვენ კომპენსაციას.

სოფელი ზარდიაანთკარი 2008 წლიდან 2012 წლამდე რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში სოფელში ვერ შედიოდა ქართული პოლიცია. 2012 წლიდან ოკუპირებული ტერიტორიის გამოფხ ხაზთან მდებარე ეს სოფელი კვლავ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა.

ამის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა საცხოვრებელ ადგილებს, თუმცა მათ დღემდე უამრავი პრობლემა აქვთ: 2008 წლიდან 2012 წლამდე სოფელ ზარდიაანთკარის მოსახლეობას არ მიუღია დევნილის სტატუსი. შესაბამისად, ისინი ვერ სარგებლობენ დევნილებისთვის განკუთვნილი დახმარებით. კანონი დევნილებისთვის ქმნის არაერთ მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფს დევნილთა ადაპტაციას ახალ გარემოსთან და ხელს უწყობს მათ თვითრეალიზაციას.

მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ გავარკვეით, რომ ისინი ვერ უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ სახლებს სოფელში არსებული პრობლემების გამო. კერძოდ, სოფელს არ აქვს სასმელი და სარწყავი წყალი; სკოლის არარსებობის გამო ბავშვები დადიან მეზობელი სოფლის სკოლაში. მათ ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა უხდებათ; სახლები საცხოვრისად უარგისია; აქვთ საფუძვლიანი შიშის და საფრთხის განცდა. სოფელ ზარდიაანთკარის მოსახლეობას არ მიუღია არანაირი კომპენსაცია.⁶

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების უფლებრივი მდგომარეობა

ვინაიდან საქართველო გამოირჩევა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირით, დღეისათვის მწვავე პრობლემაა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების განსახლების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობა 2015 წლის 26 იანვრიდან განსაზღვრავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულის და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახის (ეკომიგრანტის) სტატუსს. თუმცა, სახელმწიფოს დღემდე არ აქვს ერთიანი, მწყობრი ხედვა ამ პრობლემასთან გამკლავებისა.

- 2014 წლის 17 სექტემბერს მობილური ჯგუფი იმყოფებოდა დუშეთის რაიონის სოფელ ზემო მღეთაში, სადაც 15 ოჯახი სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში ცხოვრობს. მათი სახლები, მეწყერსაშიშ ზონაში, მდინარე არაგვის პირას მდებარეობს. წვიმის შემდეგ მთიდან წამოსული ღვარცოფის შედეგად მდინარის კალაპოტი იკეტება, წყლის დონე მატულობს და სახლები იტბორება. რამდენიმე წლის წინ სტიქიას მსხვერპლიც მოჰყვა, როდესაც ადიდებულმა არაგვმა სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან 3 წლის ბავშვი გაიტაცა. მოსახლეობა მთავრობისგან უსაფრთხო, ალტერნატიული საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემას მოითხოვს. როგორც უფლებადამცველთა მობილურ ჯგუფს დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან⁷ აცნობეს, თითოეული ოჯახისთვის გათვალისწინებულია კომპენსაცია 10 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ თანხას კი მოსახლეობა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის შემდეგ მიიღებს. თუმცა, კომპენსაცია ამ დრომდე არ გაცემულა, რადგან მოსახლეობის მიერ შერჩეული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემაზე, რომლებიც სარეკრეაციო ზონაში მდებარეობს, დუშეთის მუნიციპალიტეტი უარს ამბობს. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მობილური ჯგუფის ჩართულობის შემდეგ მოსახლეობა დათანხმდა ალტერნატიული ფართის მოძიებას, თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას საკუთრებაში არ აქვს

⁶ ჯანელიძე, გ. (2014 წლის 2 ოქტომბერი). *humanrightshouse.org*. <http://humanrightshouse.org/Articles/20476.html>

⁷ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, #794-ე წერილი (2015 წლის 26 მარტი).

მიწის ნაკვეთები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის იმ ნაკვეთების მოძიება, რომლებიც შემდგომში მოსახლეობას გადაეცემა.

- უფლებადამცველთა მობილურმა ჯგუფმა მოინახულა ქ. თბილისში, გუდამაყრის ქ. N2-ში (ყოფილი ნევროლოგიური კლინიკის შენობა) კომპაქტურად ჩასახლებული პირები. შენობაში სულ 327 ოჯახი ცხოვრობს. მათი ძირითადი ნაწილი სოციალურად დაუცველია. ისინი 2002 წელს, თბილისში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ დაზარალდნენ და ამჟამად ნევროლოგიური კლინიკის შენობის I-IX სართულებზე ცხოვრობენ.

კომპაქტურად ჩასახლებულ ოჯახებს “თელასმა” დაარიცხა ელექტროენერგიის ძველი დავალიანება. სასამართლომ მათ ხანდაზმულობის გამო 2007 წლამდე არსებული დავალიანება ჩამოწერა, თუმცა, დანარჩენი დავალიანება ისევ მოსახლეობამ უნდა დაფაროს. ხელშეკრულების თანახმად, დაზარალებულებს „უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში“ არსებული ბინები უნდა გადასცემოდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბინებს არ უნდა ჰქონოდათ ძველი დავალიანება. ოჯახების ნაწილმა დავალიანება გადაინაწილა. 70-მა ოჯახმა საავადმყოფოს ძველი დავალიანების გადახდაზე უარი თქვა, სასამართლოს მიმართა და მოიგო პროცესი. თუმცა, “თელასმა” მათ ძველი დავალიანება მაინც არ ჩამოაწერა. კლინიკის შენობაში მრიცხველები 2009 წელს დაამონტაჟეს. ვინაიდან მაცხოვრებელთა ნაწილს ბინები საკუთრებაში დარეგისტრირებული არ აქვს, მათ მრიცხველები არ დაუდგეს. უფლებადამცველთა ვიზიტის დროს ელექტროენერგია გათიშული ჰქონდა 70 ოჯახს.

შენობა სავალალო მდგომარეობაშია. ბუნებრივი აირი შეყვანილი არ არის და მოსახლეობა თბება ელექტროენერგიით და შემის ღუმელებით. სარდაფი სავსეა ფეკალიებით, რადგანაც დაზიანებულია შენობის საკანალიზაციო სისტემა. სარდაფში დარჩენილია რენტგენის ძველი აპარატურა, რომელიც ასევე გაჟღენთილია ფეკალიებით. გამგეობამ გამოყო 17 000 ლარი, მოსახლეობამ გადაიხადა 3000 ლარი და დაგეგმილია კანალიზაციის სისტემის შეცვლა. შენობის პირველი და მეორე სართულები ნესტიანია, კედლები სულ დაბერილი და ობიანია.

- მონიტორინგის ფარგლებში მობილური ჯგუფი შეხვდა 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას. შეხვედრა გაიმართა ნუცუბიძის და ბელიაშვილის ქუჩებზე. ნუცუბიძის ქ. N62-ში მდებარე სასტუმრო „მერლინში“ განთავსებულია სვანიძის ქუჩაზე მცხოვრები 6 ოჯახი (სულ 22 ადამიანი). სასტუმროში ყოველდღე მორიგეობს ვაკის გამგეობის წარმომადგენელი. დაზარალებულებს ეხმარება მოსახლეობაც და მობილური ჯგუფის ვიზიტის დროს ისინი რაიმე პრობლემას არ უჩიოდნენ.
- მობილურმა ჯგუფმა მოინახულა თბილისში, ბელიაშვილის ქ. N91-ში მდებარე სასტუმრო „აისბერგში“ განთავსებული წყნეთის ხევის მაცხოვრებელი 9 ოჯახი (29 ადამიანი), რომლებიც ასევე 13 ივნისის წყალდიდობის დროს დაზარალდნენ. დაზარალებულთა განცხადებით, მათთან ყოველდღე მიდის გამგეობის წარმომადგენელი და იმ ეტაპისთვის მათ არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ.
- ბელიაშვილის ქ. N89-ში მდებარე სასტუმრო „ტეხასში“ განთავსებულია თბილისის წყალდიდობის დროს დაზარალებული 4 ოჯახი (სულ 15 სული), რომლებიც სტიქიამდე წყნეთის ხევში ცხოვრობდნენ.

დაზარალებულთა განცხადებით, ძალიან გაიწელა სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის გაცემის საკითხი. დაზარალებულებს, რომლებმაც ფაქტობრივად მთელი ქონება დაკარგეს, არ ეძლევათ ყოველდღიური სახარჯო თანხა, რაც საკმაოდ სერიოზულ პრობლემას უქმნით. ისინი უკვე ერთი თვეა იმყოფებიან მშრალ კვებაზე (სასტუმროში არ არის სამზარეულო) და უფულობის გამო ახალ ხილს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქციას ვერ ყიდულობენ.

სტიქიით დაზარალებულები დღე-დღეზე ელოდებიან კომპენსაციების გაცემას და მიუხედავად არსებული პრობლემებისა, ცდილობენ, უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამოხატონ.

- წალკის მუნიციპალიტეტში აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები სახელმწიფოს მიერ მათთვის შეძენილი საცხოვრებელი სახლების დაკანონებას ითხოვენ. მიუხედავად იმისა, რომ სახლები არის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბალანსზე, ყოფილი მეპატრონეები, რომლებიც საცხოვრებლად საბერძნეთში წავიდნენ, საქართველოში დარჩენილ საკუთარ სახლებს ელექტრონულად ირეგისტრირებენ და აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებისგან სახლების დატოვებას ითხოვენ.
- 2003 წლიდან სოფელ სამებაში აჭარიდან და სვანეთიდან ეკომიგრანტთა 105 ოჯახი ჩაასახლეს. მოსახლეობის განმარტებით, 13 სახლი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „შესყიდული“ აქვს, მაგრამ ეკომიგრანტთა ოჯახებისთვის მათ საკუთრებაში გადაცემას აყოვნებს. ეკომიგრანტთა ოჯახების უმრავლესობა ადგილობრივი ბერძენი ეროვნების მოსახლეობის კუთვნილ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს. შესაბამისად, დაახლოებით 90-ზე მეტ ოჯახს ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება, რადგან ქონების მეპატრონეები საქართველოში ბრუნდებიან და მათგან სახლების დატოვებას ითხოვენ.
- ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ არწივინში, სადაც 2003 წლიდან 100 ეკომიგრანტი ოჯახია ჩასახლებული. მოსახლეობის განმარტებით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 56 ეკომიგრანტი ოჯახისათვის აქვს „შესყიდული“ ბინები. თუმცა, არცერთ ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი საბუთი არ აქვს. სოფელ არწივინში სამინისტროს მიერ ე.წ. შესყიდული სახლების უმრავლესობა თავად ეკომიგრანტი ოჯახების თანამონაწილეობითაა შეძენილი. არიან ოჯახები, რომლებიც ბინის მესაკუთრეებმა უკვე გამოასახლეს და ოჯახები, რომლებიც მესაკუთრეებს ბინის ქირას უხდიან. ორივე სოფელის შემთხვევაში პრობლემა იდენტურია. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი - „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“. მათი განმარტებით, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებისთანავე დაიწყება დაკანონების პროცესი.

მთავრობა ახორციელებს 2004-2012 წლებში შესყიდული და სამინისტროს ბალანსზე დარიცხული საცხოვრებელი სახლების აზომვითი საკადასტრო ნახაზების მომზადებას და

მათ ხელახალ რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ამ პროცედურის შემდეგ, სამინისტრო გეგმავს აღნიშნული ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემას. ასევე, სამინისტრო უწყვეტ რეჟიმში იღებს სტიქიით დაზარალებულის მიერ საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე შეტანილ განცხადებებს. იმ ოჯახების განსახლების საკითხის განხილვა, რომლებსაც არ აქვთ შესყიდული საცხოვრებელი სახლები, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მოხდება.⁸

სახელმწიფომ ეკომიგრანტებს ჭაობიანი და არამოსავლიანი მიწები გადასცა საკუთრებაში. მათ არ აქვთ სათიბი მიწები და იძულებულები არიან იჯარით აიღონ ის. ამის გამო ეკომიგრანტთა 99%-ს ბანკიდან კრედიტი აქვს აღებული. პრობლემაა ისიც, რომ აჭარელებით დასახლებულ სოფლებს არ აქვთ სასაფლაოებისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები და მიცვალებულების დაკრძალვა აჭარაში უწევთ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის სოფლებს არ მიეწოდებათ სასმელი წყალი.

რეპატრირებული მესხები: XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მესხების დაბრუნების საკითხი დღემდე აქტუალური განსჯის საგანია. 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებასთან ერთად, საქართველომ აიღო რეპატრაციისა და ინტეგრაციის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავების ვალდებულება. ვალდებულების თანახმად, თორმეტი წლის განმავლობაში რეპატრაციის პროცესი უნდა დასრულებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ვადა უკვე გასულია, რეპატრიანტის სტატუსის მამიებელ პირთა განცხადებების განხილვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ამჟამადაც მიმდინარეობს.

რეპატრაციის შესახებ საქართველოს კანონი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს რეპატრიანტთათვის გამარტივებული წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. თუმცა, ამ კუთხითაც არსებობს პრობლემები. კერძოდ, წინამდებარე საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული ფაქტების ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს პირთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ვერ ახერხებს მოქალაქეობის მიღებას.

აღნიშნული კატეგორიის ჯგუფში არიან როგორც რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირები, ასევე კანონის მიღებამდე ჩამოსახლებული პირები, რომლებიც არ ფლობენ რეპატრიანტის სტატუსს. მსგავსი ფაქტების შესწავლისას დადგინდა, რომ პირთა მცირე ნაწილს უკვე აქვს საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული, თუმცა, პრეზიდენტის ბრძანებულება მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის დამადასტურებელ საბუთს წარადგენენ. სწორედ ამ შემთხვევაში აწყდებიან მესხეთიდან გადასახლებული პირები პრობლემებს. მათი თქმით, ეს არ არის მარტივი პროცედურა და იმ ქვეყნებში, სადაც ისინი

⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, #03-01/03/19450 (2015 წლის 16 ივლისი).

საქართველოში ჩამოსახლებამდე ცხოვრობდნენ; ბიუროკრატიული და სხვა ბარიერების გამო მოქალაქეობიდან გამოსვლა ადვილი არ არის.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემიდან 2 წლის განმავლობაში რეპატრიანტის სტატუსის მამიებელი პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის დამადასტურებელ საბუთს ვერ წარმოადგენს, პრეზიდენტის ბრძანებულება მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ძალადაკარგულად ითვლება. შესაბამისად, მათ საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი აღარ აქვთ და იძულებულები არიან, დაექვემდებარონ გაძევებას და დატოვონ ქვეყანა.

ასე მაგალითად:

- დ. ა. და მისი ვაჟი ი. ა. არიან რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირები. ისინი ოჯახთან ერთად საქართველოში საცხოვრებლად ჩამოვიდნენ და რეპატრიანტის სტატუსი მიიღეს საქართველოს მიერ 2007 წელს მიღებული კანონის (ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ მესხთა რეპატრიაციის შესახებ) და მოწოდების საფუძველზე.

დ. ა-ს მეუღლე ა. ა. არის საქართველოს მოქალაქე. ოჯახი წლების მანძილზე ერთად ცხოვრობს საქართველოში, ახალციხის რაიონში. მათ აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელსაც რეგულარულად ამუშავენ და ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

დ. ა-ს და ი. ა-ს, სურთ, რომ გამოვიდნენ აზერბაიჯანის მოქალაქეობიდან, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა და ოჯახთან ერთად საქართველოში იცხოვრონ.

შესაბამისად, მათ მიმართეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს აზერბაიჯანის მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ, თუმცა, მათ უარი ეთქვათ. მათ მიერ აზერბაიჯანის მოქალაქეობაზე უარის თქმა გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ეს პროცესი საგრძნობლად ჭიანჭურდება, ამასობაში კი პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი 2-წლიანი ვადა იწურება.

ოჯახი იძულებული გახდა, მიემართათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, რათა მიეღოთ საქართველოში ბინადრობის უფლება, საქართველოში ცხოვრების სურვილის და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით. თუმცა, სამინისტრომ მათ ამ თხოვნაზე უარი უთხრა.

ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა კონფიდენციალურია და მისი გაცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. შესაბამისად, მხარეს არ აქვს ინფორმაცია, რა მიზეზით ჩათვალა ის სახელმწიფომ უსაფრთხოებისთვის რისკის მატარებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დასკვნა არ საჩივრდება.

შრომის და ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ა. ჯანმრთელობის უფლება

ჯანმრთელობის დაცვის უფლება მოიაზრებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური მდგომარეობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტს და იგი მოითხოვს სახელმწიფოსგან,

შექმნას ისეთი კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვა ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სისტემაში მთელი რიგი პრობლემები აღმოიფხვრა, რიგ შემთხვევებსა და რეგიონებში კვლავაც უხეშად ირღვევა ადამიანთა ეს ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება.

- მონიტორთა ჯგუფი გავიდა შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახლში“. სამწუხაროდ, ადმინისტრაციის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა იმ განყოფილებების დათვალიერება, სადაც ავადმყოფები არიან განთავსებულნი. სამედიცინო დარგში დირექტორის მოადგილის განმარტებით, დაწესებულების მთავარი პრობლემა არასაკმარისი დაფინანსებაა და არსებული თანხებით 218 ავადმყოფისთვის მკურნალობისა და მოვლისთვის საჭირო აუცილებელი პირობების შექმნა შეუძლებელია. შენობა, სადაც სამკურნალო დაწესებულება 2006 წლიდან ფუნქციონირებს, რეაბილიტაციას საჭიროებს.
- მობილური ჯგუფი თბილისში შეხვდა წამალდამოკიდებულთა უფლებების დამცავ არასამთავრობო ორგანიზაციას ქსელის - „ახალი ვექტორი“ წარმომადგენლებს და წევრებს. ქსელი აერთიანებს მსგავსი პროფილის 7 ორგანიზაციას. ორგანიზაცია პოლიციის მხრიდან შესაძლო სადამსჯელო სანქციების განხორციელების საფრთხის გამო ვერ ახერხებს ნარკოდამოკიდებულთა მიერ გამოყენებული ნემსების შეგროვებას და შემოიფარგლება მხოლოდ ახალი ნემსების დარიგებით. მასობრივი ხასიათი აქვს ნარკოდამოკიდებულთა გადაყვანას ნარკოლოგიურ დაწესებულებაში ბიოლოგიური მასის (შარდის) ჩაბარების მიზნით, რასაც შემდეგ ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება მოსდევს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე ნარკომომხმარებლებს აქვთ უფლება, არ ჩააბარონ ბიომასა, მათ უკანონოდ, ხანგრძლივი დროით ტოვებენ ნარკოლოგიურ დაწესებულებაში და ამ გზით აიძულებენ შარდის ჩაბარებას. სამართლებრივად არ არის მკაფიოდ გამიჯნული ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების კრიტერიუმები, რაც ხშირად არაადეკვატურად მაღალ სასჯელს ითვალისწინებს ნარკომომხმარებელთა მიმართ. ქსელში არ არიან საკმარისი რაოდენობის იურისტები, რომ ნარკომომხმარებლებს სათანადო კონსულტაცია და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ნარკოლოგიურ განყოფილებაში გადაყვანის ან საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში.
- მობილური ჯგუფი იმყოფებოდა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში. კერძოდ, გრძელვადიანი მომსახურების განყოფილებაში, სადაც ფსიქიკური აშლილობის მქონე 40 პირი ერთდროულად მკურნალობს. ინფორმაციის ნაკლებობა - ამ დაწესებულებაში სწორედ ეს ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა პაციენტებს შორის.

ბ. შრომის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი იცავს ადამიანის შრომის უფლებას, ხოლო მისი მე-13 მუხლით დეკლარირებულია სახელმწიფოს ვალდებულება, მფარველობა

გაუწიოს თავის მოქალაქეებს. საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობით აღიარებულია დამსაქმებლის ვალდებულება, უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შრომასთან დაკავშირებული უფლებები კვლავ რჩება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ სფეროდ, რასაც ადასტურებს საანგარიშო პერიოდში უფლებადამცველთა მობილური ჯგუფის მიერ გამოვლენილი შრომითი უფლების დარღვევის ფაქტები.

- ზესტაფონში მობილური ჯგუფის გასვლის საჭიროება დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა სახლს დახმარებისთვის მიმართეს ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე კერძო მაღაზიების მესაკუთრეებმა.

მესაკუთრეთა განცხადებით, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 90-იან წლებში შეისყიდეს მიწის ნაკვეთები და გახსნეს სავაჭრო ობიექტები. ამ ეტაპზე მოქმედებს 192 ასეთი ობიექტი.

2013 წლის 15 ივლისს ბაზრის მესაკუთრე კომპანიამ - „ეკომანგატმა“ ბაზრის რეკონსტრუქცია დაიწყო. მოსახლეობის თქმით, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ამ ტერიტორიიდან ყველანაირი ნორმის დარღვევით გაიტანეს ნიადაგში დაკონსერვებული ფეროშენადნობების გამოდნობის შედეგად დარჩენილი წიდა. ამ დრომდე ტერიტორია მოუსწორებელია და ღია ცის ქვეშ დარჩენილი ნარჩენები, სავარაუდოდ, იწვევს ჰაერის ქიმიურ დაბინძურებას.

მართალია, ყოფილი ბაზრის მესაკუთრეს ფიზიკურად არ დაუზიანებია სავაჭრო ობიექტები, მაგრამ ბაზრის გაუქმებით ამ მაღაზიებს დაუკარგეს ფუნქცია. ამის შემდეგ, მესაკუთრეებმა, მაღაზიების ფუნქციონირების მიზნით, ობიექტს გაუკეთეს კარი გზის მეორე მხარეს. ამ ეტაპზე, სავაჭრო ობიექტების მეორე მხარეს გამავალ გზაზე, ავტომობილების მოძრაობის შეზღუდვის მიზნით, დადებულია ბეტონის ბლოკები. მოძრაობა მას შემდეგ შეიზღუდა, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე გზის დემონტაჟი და რეაბილიტაცია მოითხოვა იმ მოტივით, რომ გზა სიცოცხლისთვის საშიშია, რადგან მის ქვეშ გვირაბები (მათი წარმოშობა წიდას უკანონო მოპოვებასთანაა დაკავშირებული) გადის. მეწარმეები შიშობენ, რომ მიმდინარე სამუშაოების გამო, მაღაზიებს გაუჭირდებათ ფუნქციონირება და ისინი შემოსავლის გარეშე დარჩებიან.

- ქ. ჭიათურის საწარმოებისა და მაღაროების მუშები სამსახურში მიღებული არიან არა ხელშეკრულების, არამედ ბრძანების საფუძველზე. ამის გამო, მათ არ აქვთ კანონმდებლობით გათვალისწინებული დასვენების და შვებულების უფლება.

საწარმოებში დასაქმებულ პირთა განცხადებით, ხელმძღვანელი მათ არ აძლევთ ამ შეღავათების გამოყენების უფლებას. იმის გამო, რომ ემინიათ სამსახურის დაკარგვის (რისი რეალური საფრთხეც არსებობს), იძულებულები არიან დამსაქმებლის მიმართ პრეტენზია არ გამოთქვან.

სხვადასხვა

უფლებადამცველების მობილური ჯგუფი ასევე დაინტერესებულია იმ პრობლემებით, რომლებიც კონკრეტული პირებისთვის, ან კონკრეტული ჯგუფის ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი.

- თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის მობილური ჯგუფი დაინტერესდა შშმ პირების მდგომარეობით და მონიტორინგის მიზნით ეწვია თბილისში, ბორჯომის ქუჩაზე მდებარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სასწავლო და სარეაბილიტაციო დაწესებულებას და მთავარ ანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო პედაგოგოგიურ სკოლა-ბაღს Michaelschute-ს. დაწესებულება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მას შემდეგ მოექცა, რაც სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ბენეფიციარის, 4 წლის გოგოს მამას, მ. ც-ს, სკოლის ეზოს სათადარიგო რკინის კარი, რომელიც კორპუსებით განაშენიანებულ ეზოში გადის, ეზოს მხრიდან დადუღებული დახვდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსახლეობას, რომელთა ეზოდანაც სკოლაში სათადარიგო კარი გადიოდა, არ სურდა ეზოში გამვლელი შშმ ბავშვების ნახვა, რადგან ეს მათ დისკომფორტს უქმნიდა. ვინაიდან სკოლაში ბავშვების უსაფრთხოებისთვის აუცილებელი იყო სათადარიგო კარის არსებობა, მომხდართი დაინტერესდა სკოლის ბენეფიციარის მშობელი და გადაწყვიტა პრობლემის სამართლებრივი გზით მოგვარება. მ. ც-ს ინიციატივას სხვა შშმ ბავშვის მშობლებიც შეუერთდნენ.
- უფლებადამცველების მობილური ჯგუფი ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სამუშაო ვიზიტით შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახლში“ იმყოფებოდა. ადგილზე გაირკვა, რომ სერიოზული პრობლემები არსებობს პაციენტის უფლებების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირებულობის კუთხით. მობილური ჯგუფის იურისტები შეხვდნენ ბენეფიციარებს და გაუწიეს მათ კონსულტაცია. ერთ-ერთ ბენეფიციარს საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით ადგილზე შეუდგინეს განცხადება კანცელარიაში წარსადგენად. თვალსაჩინო გახდა, რომ საავადმყოფოში მომსახურე პერსონალის სათანადო ინფორმირებულობის შემთხვევაში, მსგავსი ტიპის პრობლემების გადაჭრა უფრო მარტივად იქნებოდა შესაძლებელი, რაც თავისთავად შეამცირებდა ბენეფიციართა გაღიზიანებას და უკმაყოფილებას. მათთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა ბენეფიციართათვის ფსიქოლოგიური დახმარების აუცილებლობაც.
- თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის უფლებადამცველების მობილური ჯგუფი, მედიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იმყოფებოდა სიღნაღის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც 2015 წლის მარტში 11 წლის მოზარდმა თავი მოიკლა. ადგილზე ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ მობილური ჯგუფის ფსიქოლოგები, რომლებმაც შეისწავლეს სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ვიზიტის მიზანი იყო იქ არსებული მძიმე ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობის განმუხტვა. ფსიქოლოგების ვიზიტის შემდეგ უფლებადამცველების მობილურ ჯგუფს დაუკავშირდნენ სკოლის მასწავლებლები და გაწეული დახმარებისთვის მათ მადლობა გადაუხადეს.

დასკვნა

საქართველოში უფლებადამცველთა მობილური ჯგუფის ერთწლიანი საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის მხრივ ყველაზე პრობლემური რელიგიის თავისუფლების და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვაა.

მთავარ პრობლემად საქართველოში კვლავ რჩება ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევა. სირთულეებია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სათანადო საცხოვრისის უფლება, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, დევნილთა უფლებების დაცვა, კონფლიქტით და სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა. ეს პრობლემები ერთი მხრივ განპირობებულია ობიექტური ფაქტორებით (ქვეყნის ეკონომიკური სისუსტე, საერთაშორისო ფინანსური კრიზისი და ა.შ.), მეორე მხრივ კი, ამ სირთულეებს კიდევ უფრო ამძიმებს ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორებიცაა სხვადასხვა მუნიციპალური სამსახურის, სამინისტროებისა და სასამართლოების არაეფექტური და ხშირად უნიათო აქტივობები. ხშირად პრობლემები იქმნება იქ, სადაც მათი თავიდან აცილება ადვილად შეესაძლებელი.

რიგ შემთხვევებში, საქმე გვაქვს საკანონმდებლო ბაზის ხარვეზებთან და მის გაუმართაობასთან.

აშკარაა სახელმწიფოში სოციალური სერვისების დაბალი ეფექტიანობა, რიგ შემთხვევებში კი, მათი საერთოდ არარსებობა.

სერიოზულ ხარვეზად რჩება კვლავ მოსახლეობის უფლებრივი განათლების დაბალი დონე, რაც ხშირად უსაფუძვლო კონფლიქტებისა და პრობლემების წარმოქმნის მიზეზია. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონებში.

მობილური ჯგუფი კვლავაც განაგრძობს პროექტით გათვალისწინებულ უფლებადაცვით საქმიანობას თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

რეკომენდაციები

სოციალურად დაუცველ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, სათანადო საცხოვრისის უფლება

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავრობას:

- საკანონმდებლო დონეზე შეიმუშავოს ოჯახის დეკლარაციის დამუშავების პროცესში ადამიანური რესურსის მეტი ჩართულობა. კერძოდ, მოქალაქეებს მიეცეს საშუალება, რომ მათთვის სოციალურად დაუცველთა ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაცია და შესაბამისი სარეიტინგო ქულის მინიჭება გახხორციელდეს არა კომპიუტერის (ტექნიკური საშუალების) მეშვეობით, არამედ ადამიანური რესურსის საშუალებით. ადამიანური რესურსის მეშვეობით დამუშავებული ოჯახის დეკლარაცია გამჭვირვალეს გახდის როგორც სოციალური მუშაკის მიერ დეკლარაციის შევსების პროცედურას, ასევე საბოლოო შედეგსაც.

თბილისის მერიას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- შეიმუშაოს სათანადო საკანონმდებლო ნორმები უსახლკარო პირთა რეგისტრაციისათვის, რათა გამჭირვალედ განხორციელდეს შესაბამისი პირების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- სავალდებულო გახდეს ყველა მუნიციპალიტეტისათვის მის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო პირთა რეგისტრაცია და ერთიანი ბაზის შექმნა, რაც უზრუნველყოფს უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფას.
- იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება უსახლკარო პირთა იძულებითი გამოსახლება მათ მიერ თვითნებურად დაკავებული საცხოვრებლებიდან, მკაცრად იქნას დაცული პიროვნების უსაფრთხოების ნორმები და არ იქნას დაშვებული უსახლკაროთა მიმართ დამამცირებელი და პიროვნების შეურცხმყოფელი ქმედებები სამართალდამცველთა მხრიდან;
- დაუშვებელია უსახლკაროთა იძულებითი გამოსახლება საცხოვრებელი ფართის იურიდიული მფლობელების მიერ ან ამ პროცესში სამშენებლო კომპანიების მუშებისა თუ სხვა არასაჯარო პირთა მონაწილეობა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

დევნილებთან მიმართებაში, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- განახორციელოს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით გადაცემული საცხოვრებელი ფართების სარემონტო სამუშაოების ხარისხის მონიტორინგი.
- შეიმუშაოს გრძელვადიანი პროგრამები დევნილთა განსახლების ადგილებში ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის და უზრუნველყოს ამ პროცესში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და შესაბამის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა მათხმადური ჩართულობა.

ეკომიგრანტებთან მიმართებაში: რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

- შექმნას სტიქიის შედეგად დაზარალებული და გადადგილებას დაქვემდებარებულ პირთა შესახებ ერთიანი ბაზა;
- შეიმუშაოს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანისა და დაზიანების ხარისხის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- შეიმუშაოს სტიქიური მოვლენების შედეგად გადადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის სპეციალური პროგრამები, რომლებიც ეკომიგრანტებს დაეხმარება ადაპტაციაში ჩასახლების საწყის პერიოდში.
- შეიმუშაოს სპეციალური ღონისძიებები გადადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების უსაფრთხოებისათვის;
- გაატაროს შესაბამისი ზომები ეკომიგრანტების მათხმადურად მოკლე ვადაში განსახლების მიზნით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი რეკომენდაციას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- აწარმოოს ეფექტური მოლაპარაკებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, რათა დროულად განხორციელდეს სოფელ ზემო მლეთაში მცხოვრები გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- მოახდინოს ეკომიგრანტი ოჯახების ინფორმირება მათთვის გადასაცემი ალტერნატიული საცხოვრებელი სახლების თაობაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ოჯახების დროული განსახლება.

რელიგიური უმცირესობები

- საგამოძიებო ორგანოებმა რელიგიურ ნიადაგზე ყველა ძალადობის ფაქტზე მოახდინოს ადექვატური რეაგირება. თითოეულ საქმეზე ჩატარდეს დროული და ეფექტური გამოძიება, მოხდეს საქმეების დასრულება და ყველა საქმეზე იყოს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება;
- ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა მეტი აქტიურობით განახორციელოს სხვადასხვა რელიგიურ თემთა შორის მედიატორის ფუნქცია და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი რელიგიურ კონფესიათა შორის კონსტრუქციული დიალოგის გარემოს შექმნას.

ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები

- ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების საცხოვრებელი პირობების გაუჯობესება და, რიგ შემთხვევებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირობების შექმნა;
- ასევე, შექმნას/გააძლიეროს სოციალური მუშაკების სამსახური, რომელიც სამუშაო რეჟიმში იქნება კავშირში სამიზნე ჯგუფთან და მოახდენს ოპერატიულ რეაგირებას ამ ჯგუფის წინაშე მდგარი პრობლემების დასაძლევად;
- იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოხდეს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, მათთვის გასაგებად იმის განმარტება, თუ როგორ იცხოვრონ ქვეყანაში ლეგალურად.

რეპატრირებული მესხები: XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

- სახელმწიფომ უნდა გადადგას უფრო ქმედითი ნაბიჯები და შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს რეპატრირებული მესხების საქართველოში კანონიერად ცხოვრების უფლებას;
- სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი ეფექტური პროგრამა რეპატრირებულ მესხთა საქართველოში ადაპტირებისა და საზოგადოებაში მათი ეფექტურად ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უნდა იყვნენ პროაქტიულ კონსტრუქციულ დიალოგში რეპატრირებულთა წარმომადგენლებთან და

შესაძლებლობის ფარგლებში, საწყის ეტაპზე მოახდინოს ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო პრობლემის მოგვარება.

ეკოლოგიური პრობლემები: სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეისწავლოს რამდენად უსაფრთხო გარემოში უწყვეტ მოსახლეობას ცხოვრება ზესტაფონსა და ჭიათურაში. ასევე სამინისტრომ ამ რეგიონებში ყოველკვარტალურად ჩაატაროს ატმოსფერული ჰაერისა და ზედაპირული წყლების კვლევა და მოსახლეობა იყოს ინფორმირებული აღნიშნული კვლევის შედეგებით;
- საქართველოს მთავრობამ შეიუშაოს გრძელვადიანი გეგმა ამ რეგიონების მომავლისა და მათი სტრატეგიული განვითარებისათვის.

შრომის უფლება

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეისწავლოს, რამდენად უსაფრთხო გარემოში უწყვეტ მუშაობა ქ. ჭიათურის საწარმოებისა და მღაროების მუშებს.
- ასევე სამინისტრომ შეისწავლოს და შეაფასოს, თუ რამდენად ეძლევათ იქ დასაქმებულ პირებს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა.
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელოს ეფექტური მონიტორინგი საწარმოებში სამუშაო პირობების შესაბამისობაზე კანონით გათვალისწინებულ სტანდარტებთან და მიიღოს ადეკვატური ზომები მათ უზრუნველსაყოფად.

ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და კომუნალური პირობების სრულ შესაბამისობაში/ჰარმონიაში მოყვანა ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან;
- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ეფექტური გრძელვადიანი პროგრამები საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული მხარდაჭერისათვის და უზრუნველყოს ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობის გონივრული ჩართულობა ამ პროცესში.